

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის  
სხდომის ოქმი №2

2022 წლის 12 სექტემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ავთანდილ გაბელია, ზესიკ ფარცვანია, თემურ ქარდავა; ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მოწვეული სპეციალისტი დათუნა ღვინჯილია.

დაწყების დრო: 12:00-სთ.

დასრულების დრო: 12:10-სთ

დღის წესრიგი:

1. ქ.წალენჯიხა, წმ.ნინოს ქუჩაზე მცხოვრები ფატიმა გაბელიას განცხადების თაობაზე.  
პროექტის წარმომდგენი: ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე


სხდომაზე განხილულ იქნა საკრებულოს სახელზე შემოსული, ქ.წალენჯიხა წმ.ნინოს ქუჩაზე მცხოვრები ფატიმა გაბელიას განცხადება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ აქვს გაუსაძლისი პირობები, საცხოვრებელი სახლის სახურავი არის უვარგისი და წვიმის დროს აწვიმს ყველა ოთახს.

კომისიის წევრების მიერ ადგილზე მოხდა ფატიმა გაბელიას სახლის დათვალიერება. კომისიის წევრებს ადგილზე დახვათ რთული მდგომარეობა, სახურავი ამორტიზირებულია, სახლის ყველა ოთახს აწვიმს და საცხოვრებლად გაუსაძლისი პირობებია. სხდომის ყველა წევრმა ერთხმად აღნიშნა, რომ აუცილებელია ეთხოვოს მერიას დაუყოვნებლივ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და თუნდაც მეორადი სახურავის განმცხადებლისთვის გადაცემა.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ მომზადდეს წერილი მერის სახელზე, რათა მერიამ განახორციელოს განმცხადებლის პრობლემის შესწავლა და მინიმალური საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილება. აღნიშნული საკითხი კომისიის მიერ აყვანილ იქნეს კონტროლზე.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და  
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

 /ომარ ქარდავა/